

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული მსს ფასს-ით, მმართველობის ანგარიში და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ექსადელ საქართველო

2024 წლის 31 დეკემბერი



სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	10

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს გრანტ თორნტონ

ს/ნ: 200136600

იურიდიული მისამართი:

საქართველო, თბილისი, ისნის

რაიონი, ქეთევან წამებულის

გამზირი, № 54

ტ.: + 995 322 604 406

Grant Thornton LLC

I/N: 200136600

Legal address:

Georgia, Tbilisi, Isani district,

Ketevan Tsamebuli avenue, № 54

T.: + 995 322 604 406

შპს ექსადელ საქართველო-ს დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს ექსადელ საქართველოს (“კომპანია”) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრისათვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს“) შესაბამისად;

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მმართველობის ანგარიშგება

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზს, სამომავლო გეგმებს და სხვა ინფორმაციას ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით. მმართველობითი ანგარიშგება ხელმისაწვდომია მხოლოდ ქართულ ენაზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობითი ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში

ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

დამატებით, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება მომზადებულია თუ არა მმართველობითი ანგარიშგება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს თუ არა ის ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას.

თუ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობის ანგარიშგება მოიცავს არსებით უზუსტობებს, ჩვენ ვალდებულები ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტზე და უზუსტობის არსზე. ჩვენ არ გავაჩნია საფუძველი გავაკეთოთ მოხსენება ამ საკითხთან დაკავშირებით.

ჩვენ მიერ შესრულებული სამუშაოების მიხედვით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ჩვენი აზრით:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისთვის, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შესაბამეა ფინანსურ ანგარიშგებას; და
- მმართველობითი ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს კანონით დადგენილ ყველა ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მის ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზე, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებზე ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შემჩნევლობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შემჩნევლობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.

- ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.



ბექა გოგოლაური

გარიგების პარტნიორი, სერტიფიცირებული აუდიტორი (რეგისტრაციის #: SARAS-A-157483)

შპს გრანტ თორნტონის სახელით

თბილისი, საქართველო

27 მაისი 2025

- ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ბექა გოგოლაური

გარიგების პარტნიორი, სერტიფიცირებული აუდიტორი (რეგისტრაციის #: SARAS-A-157483)

შპს გრანტ თორნტონის სახელით

თბილისი, საქართველო

27 მაისი 2025

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	541,602	1,111,412
		541,602	1,111,412
მიმდინარე აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	5,417,264	4,231,564
ფული საბანკო ანგარიშებზე		8,807	21,093
		5,426,071	4,252,657
სულ აქტივები		5,967,673	5,364,069
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
აკუმულირებული მოგება		4,081,025	3,065,311
		4,081,025	3,065,311
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6	1,886,648	2,298,758
		1,886,648	2,298,758
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		5,967,673	5,364,069

ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია გამოსაშვებად კომპანიის მენეჯმენტის მიერ 2025 წლის 27 მაისს:

ზურაბ ავალიშვილი
დირექტორი



ირინე სიორიძე
ბუღალტერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (10-21 გვერდებზე) ერთობლიობაში, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ექსადელ საქართველო
ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	541,602	1,111,412
		541,602	1,111,412
მიმდინარე აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	5,417,264	4,231,564
ფული საბანკო ანგარიშებზე		8,807	21,093
		5,426,071	4,252,657
სულ აქტივები		5,967,673	5,364,069
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
აკუმულირებული მოგება		4,081,025	3,065,311
		4,081,025	3,065,311
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6	1,886,648	2,298,758
		1,886,648	2,298,758
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		5,967,673	5,364,069

ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია გამოსაშვებად კომპანიის მენეჯმენტის მიერ 2025 წლის 27 მაისს:

ზურაბ ავალიშვილი
დირექტორი

ირინე სიორიძე
ბუღალტერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (10-21 გვერდებზე) ერთობლიობაში, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2024 წელი	2023 წელი
შემოსავალი		25,103,079	30,248,325
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	7	(20,937,408)	(25,866,472)
მთლიანი მოგება		4,165,671	4,381,853
ადმინისტრაციული ხარჯები			
ადმინისტრაციის ხელფასები		(2,750,895)	(2,672,673)
ცვეთა და ამორტიზაცია		(55,440)	(28,883)
სხვა ადმინისტრაციული დანახარჯები	8	(221,207)	(238,804)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		1,138,129	1,441,493
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი	9	(102,565)	(196,206)
არასაოპერაციო ზარალი		(19,850)	(67,088)
მოგება დაბეგვრამდე		1,015,714	1,178,199
მოგების გადასახადი		-	-
წლის მოგება		1,015,714	1,178,199
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სხვა სრული შემოსავლები		1,015,714	1,178,199

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (10-21 გვერდებზე) ერთობლიობაში, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ლარი

2022 წლის 31 დეკემბერი

დაგროვილი მოგება

1,887,112

წლის მოგება

1,178,199

წლის სხვა სრული შემოსავალი

1,178,199

2023 წლის 31 დეკემბერი

3,065,311

წლის მოგება

1,015,714

წლის სხვა სრული შემოსავალი

1,015,714

2024 წლის 31 დეკემბერი

4,081,025

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (10-21 გვერდებზე) ერთობლიობაში, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ლარი

ფული საოპერაციო საქმიანობიდან

მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული სახსრები

გადახდილი ხელფასი

გადახდილი გადასახადები

გადახდილი საკონსულტაციო მომსახურებები

საიჯარო გადასახდელები

გადახდილი სახსრები საპენსიო ფონდში

გადახდილი კომუნალური ხარჯი

გადახდილი სახსრები ლიცენზიებში

გადახდილი კომპიუტერების ხარჯი

გადახდილი სახსრები საოფისე ნივთებში

გადახდილი სადაზღვევო ხარჯი

საბანკო მომსახურებისა და საპროცენტო ხარჯები

სხვა გადახდები

წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობაში

ძირითადი საშუალებების შეძენა

ფულადი სახსრების წმინდა ზრდა

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულზე

ფული ხელზე და ბანკის ანგარიშზე საწყისი ნაშთი

ფული საბანკო ანგარიშზე პერიოდის ბოლოს

2024 წელი

2023 წელი

23,909,903

28,745,023

(20,746,548)

(25,655,652)

(1,094,740)

(1,322,915)

(1,238,295)

(498,690)

(242,402)

(344,821)

(233,408)

(271,074)

(103,696)

(117,347)

(26,156)

(122,390)

(5,562)

(865)

(10,186)

(33,446)

(9,095)

(147,903)

(11,616)

(19,189)

(75,163)

(137,246)

113,036

73,485

(1,499)

(5,807)

(1,499)

(5,807)

111,537

67,678

(123,823)

(181,337)

21,093

134,752

8,807

21,093

ფულადი ნაკადების ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (10-21) გვერდებზე) ერთობლიობაში, რომლებიც წარმოადგენენ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს ექსადელ საქართველო („კომპანია“) დაფუძნებულია და ოპერირებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დაარსდა 2021 წელს საიდენტიფიკაციო კოდით 405452077. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ნინო ჟვანიას ქ. # 37, ბინა 2ა.

ექსადელ ჯორჯიას 100%-იან წილს ფლობს Exadel Inc. C1896753 /აშშ/, 02/03/1995.

Exadel Inc.-ის მფლობელობის სტრუქტურა შემდეგია:

- Exadel, Inc.-ის (და შვილობილი კომპანიების) აქციების 100% ფლობს JupiterEx Intermediate Holding, LLC (აშშ; ერთეულის ნომერი დელავერის შტატში არის 5097385. კომპანიის ძირითადი მისამართია 1340 Treat Blvd., Suite 375, Walnut Creek, CA 945997).
- JupiterEx Intermediate Holding, LLC-ის საწევრო წილის 100% ეკუთვნის JupiterEx Holding, LLC (შეერთებული შტატები; ერთეულის ნომერი დელავერის შტატში არის 5097341. კომპანიის ძირითადი მისამართია 1340 Treat Blvd., Suite 375, Walnut Creek, CA 94597).
- JupiterEx Holding, LLC-ის წევრობის წილის 100% ეკუთვნის JupiterEx Ultimate Holding, L.P. (აშშ; ერთეულის ნომერი დელავერის შტატში არის 5097335; ძირითადი მისამართია 5200 Town Centre Circle, 4th Fl., Boca , FL 33486).
- შპს JupiterEx Ultimate Holding-ის 100%-იანი წილის მფლობელია Sun Capital Partners VII, LP (კაიმანის კუნძულები; სუბიექტის ნომერი კაიმანის კუნძულებზე არის 96681; ძირითადი მისამართია PO Box 309, Ugland House, Grand Cayman, KY1-1104, კაიმანის კუნძულები, რეგისტრირებული 2018 წლის 5 ივნისს) და Exadel, Inc.-ის ისტორიული მფლობელები. Exadel, Inc.-ის ინდივიდუალური ისტორიული მფლობელები ფლობენ JupiterEx Ultimate Holding, LLC-ის დაახლოებით 30%-ს, Sun Capital-ის მფლობელობაშია დარჩენილი წილები. შესაბამისად, არცერთ ინდივიდს არ აქვს უმრავლესობის ინტერესი Exadel, Inc ან შვილობილი კომპანიების მიმართ.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სხვა და სხვა პროგრამული უზრუნველყოფის, შექმნისა და მომსახურების მიწოდება საქართველოს საზღვრებს გარეთ მშობელი კომპანიისა და ჯგუფის სხვა კომპანიების მომხმარებლებისათვის.

ბიზნეს გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, სადაც იგი ოპერირებს ინფორმაციული ტექნოლოგიების სექტორში. საქართველოს ახასიათებს განვითარებადი ბაზრებისათვის ჩვეული ნიშნები, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაცია, მაღალი საპროცენტო განაკვეთები და განვითარების პროცესში მყოფი რეგულირებისა და საგადასახადო სისტემა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება ცვლილებებს და შეიძლება იყოს მრავალმნიშვნელოვნად განმარტებადი, რაც დამატებით რისკებს ქმნის ბიზნესისთვის.

როგორც საერთაშორისო სტატუსის მქონე IT კომპანია, შპს ექსადელ საქართველოს საქმიანობაზე გავლენა აქვს არამართო ადგილობრივი ეკონომიკური გარემოსგან, არამედ გლობალური ტექნოლოგიური ტენდენციებისგან, ციფრული სერვისების მოთხოვნისა და კვალიფიციური ადამიანური კაპიტალის ხელმისაწვდომობისგანაც. სექტორი საკმაოდ კონკურენტულია, ამიტომ ინოვაციაში, კიბერუსაფრთხოებასა და პროდუქტის განვითარებაში უწყვეტი ინვესტიცია აუცილებელია, რათა კომპანია დარჩეს აქტუალური და სანდო კლიენტებისთვის.

კომპანიას მინიჭებული აქვს სპეციალური “საერთაშორისო კომპანიის” სტატუსი, რაც განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსით. ამ სტატუსის მქონე კომპანიები სარგებლობენ მოგების გადასახადის შეღავათიანი 5%-იანი განაკვეთით, მაშინ როდესაც მოგების დაბეგვრის ობიექტი უცვლელია. აღნიშნული საგადასახადო შეღავათი მიმართულია იმაზე, რომ წახალისდეს ექსპორტზე ორიენტირებული IT სერვისების განვითარება და საქართველოს მიმართ გაიზარდოს საერთაშორისო ბიზნესების დაინტერესება.

საქართველოს ეკონომიკის სტაბილურობა და განვითარება დიდწილად დამოკიდებულია ამ ცვლილებებზე. მთავრობამ განაახლა ქმედებები უკეთესი მართვისთვის, მათ შორის გაზარდა ანტიკორუფციული ძალისხმევა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულების პასუხისმგებლობა. გარდა ამისა, გლობალური მოთხოვნის

ცვლილებები ციფრულ გადაწყვეტილებებზე, პერსონალური მონაცემების დაცვის რეგულაციების შესაძლო ცვლილებები და გეოპოლიტიკური რისკები შეიძლება ზეგავლენას ახდენდეს კომპანიის საქმიანობის გარემოზე.

კომპანიის ხელმძღვანელობას არ შეუძლია წინასწარ განსაზღვროს ყველა შესაძლო ცვლილება, რაც შეიძლება IT სექტორსა და ზოგადად ეკონომიკას შეეხოს, და შესაბამისად, ვერც იმ გავლენის სრული მოცულობის პროგნოზირება შეუძლია, რაც ამ ცვლილებებს შეიძლება ჰქონდეს კომპანიის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. თუმცა, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ იგი იღებს ყველა აუცილებელ ზომას კომპანიის მდგრადობისა და განვითარებისთვის, მათ შორის მოქნილი ბიზნეს მოდელის შენარჩუნებას, კადრების განვითარებაში ინვესტიციას და მოქმედ რეგულაციებთან და უსაფრთხოების სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას.

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოქვეყნებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. ანგარიშგება მომზადდა იმ დაშვებით, რომ კომპანია ფუნქციონირებს უწყვეტ რეჟიმში.

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა დარიცხვის მეთოდსა და ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის საოპერაციო ვალუტა.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (თუ სხვაგვარად არ იქნება მითითებული), ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ერთეულ ლარამდე.

2.4 შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების მსს ფასს-ის შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები და დაშვებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებსა და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობები გამოყენებული, ან სადაც მენეჯმენტის მიერ გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია მე-13 შენიშვნაში.

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაიყვანება შესაბამის საოპერაციო ვალუტაში ოპერაციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, ფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.8068 ლარს და ევრო 2.9306 ლარს (2023 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.6894 ლარი და ერთი ევრო 2.9753 ლარი).

საკურსო სხვაობა გამოწვეული ვალუტის ცვლილებით აღრიცხულია კომპანიის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საიმპორტო გადასახადებს, სხვა არადაბრუნებად გადასახადებსა და შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. როცა ძირითადი საშუალება შედგება რამოდენიმე არსებითი კომპონენტისაგან, რომლებსაც სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, მაშინ ასეთი კომპონენტები აღირიცხებიან ცალკე-ცალკე ძირითად საშუალებებად.

აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან მიღებული მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოადგენს სხვაობას მიღებული ანაზღაურების ღირებულებასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცალკე ერთეულად აღრიცხული ძირითადი საშუალების კომპონენტის ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულების შესაბამისად, რომელიც ჩამოწერილი იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის აქტივის რემონტის დანახარჯები, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი გაწვევითანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. აქტივების სასიცოცხლო ვადები ჯგუფების მიხედვით შემდეგნაირია:

ავჯი და სხვა საოფისე ინვენტარი	- 2 წელი
კომპიუტერები	- 2 წელი

იმის გამო, რომ მიწისთვის სასრული სასარგებლო ვადის განსაზღვრა შეუძლებელია, შესაბამისი საბალანსო ღირებულებები არ ცვდება.

3.3 იჯარა

იჯარა, რომელშიც არსებითად ყველა რისკი და ეკონომიკური სარგებელი ეკუთვნის მეიჯარეს, კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარის დროს განხორციელებული გადახდები (გამქირავებლისგან მიღებული წახალისების გარეშე) აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი დარიცხვის მეთოდით იჯარის პერიოდისათვის. ასოცირებული ხარჯები, როგორიცაა ტექნიკური მომსახურება და დაზღვევა, აღირიცხება წარმოებისას.

იჯარა კლასიფიცირდება როგორც ფინანსური, თუ არსებითად ყველა რისკი და სარგებელი გადადის კომპანიის საკუთრებაში. ფინანსური იჯარა კაპიტალიზდება იჯარის დაწყებისთანავე, იჯარით გაცემული ქონების რეალურ ღირებულებასა და იჯარის მინიმალური გადახდებისა და შემთხვევითი ხარჯების ჯამის დღევანდელ ღირებულებას შორის უმცირესით. შესაბამისი ღირებულება აღიარდება როგორც ფინანსური საიჯარო ვალდებულება.

ცვეთის მეთოდები და ფინანსური იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა შესაბამისად იმ მეთოდებს რაც გამოიყენება შესაბამისი აქტივებზე, რომლებიც იურიდიულად არის კომპანიის საკუთრებაში. შესაბამისი ფინანსური იჯარის ვალდებულებები მცირდება იჯარის გადახდებსა და ფინანსურ ხარჯებს შორის სხვაობით, რომლებიც ხარჯში აღიარდება, როგორც ფინანსური ხარჯის ნაწილი.

საიჯარო გადასახადების საპროცენტო ნაწილი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, რათა წარმოადგენდეს დარჩენილი კაპიტალის ნაშთის მუდმივ ნაწილს, და ირიცხება მოგება-ზარალში იჯარის პერიოდის განმავლობაში.

3.4 წინასწარგაწეული ხარჯები

წინასწარ გაწეული ხარჯები აღირიცხება თვითღირებულებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიიღება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა ეხება აქტივს, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შესაძენად წინასწარი გადახდა აღიარდება აქტივის საბალანსო ღირებულებად მას შემდეგ, რაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს აქტივზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოედინება კომპანიაში.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგებაში ან ზარალში, როდესაც მიიღება საქონლი ან მომსახურება, რომელიც დაკავშირებულია წინასწარ გადახდასთან. თუ არსებობს მითითება, რომ წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება არ მიიღება, წინასწარი გადახდის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარებულია წლის მოგება-ზარალში.

3.5 ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე შემოსავლებისა და ხარჯების, ურთიერთჩათვლა ხორციელდება, და ფინანსურ ანგარიშგებებში აისახება წმინდა ღირებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლის კანონიერი უფლება და ამავე დროს არსებობს ურთიერთჩათვლის განხორციელების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

წმინდა შემოსავალი და ხარჯები წარმოდგელია ბუღალტრული არიცხვის და ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად როდესაც არის დაშვებული, ან მოგება და ზარალი წარმოიქმნება ჯგუფში მსგავსი ტრანზაქციებიდან როგორც არის კომპანიის სავაჭრო საქმიანობა. მენეჯმენტი წარმოგიდგენთ კომპანიის საგადასახადო წმინდა ბალანსს, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 7 დეკემბრის 407 ბრძანების საფუძველზე.

3.6 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასად (ეს მოიცავს გარიგების ღირებულებას, გარდა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საწყისი შეფასებისა, რომელიც აღიარდება რეალური ღირებულებით მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ასახვით). ხოლო თუ შეთანხმება მოიცავს ფინანსურ ოპერაციას, მაშინ ის აღიარდება მომავალი გადახდების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

პირველადი აღიარების შემდეგ ისინი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმეტესობა ხდება ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე, ხოლო დებიტორული დავალიანება პროცენტს არ ითვალისწინებს. იქ, სადაც კრედიტი აჭარბებს ნორმალურ საკრედიტო პირობებს, მოთხოვნები განისაზღვრება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულებების გადახედვა იმის დასადგენად, არის თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ თანხები არ არის ანაზღაურებადი. თუ ასეა, გაუფასურების ზარალი მაშინვე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღიარებულია თავდაპირველად გარიგების ფასად და შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ისინი ნორმალურ საკრედიტო პირობებში არიან და პროცენტს არ ითვალისწინებენ.

3.7 ფულადი სახსრები და ფულის ეკვივალენტები

ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე, მოიცავს საბანკო ანგარიშებს.

ფულადი სახსრების ანგარიშგების მიზნებისათვის ფულადი ეკვივალენტები არის მოკლევადიანი, მაღალ ლიკვიდური ინვესტიციები რომლებიც ადვილად კონვერტირებადი ფულად სახსრებად და რომლებიც ატარებენ ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

ფულადი სახსრები გამოიყენება უფრო მოკლევადიანი ფულადი ვალდებულებების შესრულების მიზნით, ვიდრე ინვესტიციის ან სხვა მიზნებისთვის. კომპანია ინვესტიციას აკლასიფიცირებს როგორც ფულადი სახსრების ეკვივალენტს, თუ იგი ადვილად კონვერტირდება ფულადი სახსრების ცნობილ რაოდენობაში და აქვს ღირებულების დაკარგვის უმნიშვნელო რისკი.

3.8 კაპიტალი

აკუმულირებული მოგება ან ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების მოგებას ან ზარალს. ყველა ოპერაცია კომპანიის მფლობელებთან, როდესაც ისინი მოქმედებენ თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში, ცალკეა წარმოდგენილი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

დივიდენდები აღიარებულია ვალდებულებად იმ პერიოდში, რომელშიც მათი განაწილება დამტკიცდება საერთო კრებაზე. შუალედური დივიდენდები აღიარებულია გადახდისას.

3.9 მოგების გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის მოსალოდნელი გადასახადი/(ანაზღაურებადი) დასაბეგრ შემოსავალზე/(ზარალზე) წლის განმავლობაში, საანგარიშგებო თარიღისთვის მოქმედი ან არსებითად ამოქმედებული საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, და წინა წლებში გადასახდელი გადასახადის ნებისმიერი კორექტირება.

საქართველოში მოქმედი დაბეგრის მოდელი („კორპორატიული დაბეგრის ესტონური მოდელი“) გულისხმობს ნულოვან გადასახადს გაუნაწილებელ მოგებაზე და 15%-იან მოგების გადასახადს განაწილებულ მოგებაზე. შედეგად, კომპანიები მოგების გადასახადს იხდიან განაწილებულ მოგებაზე (აქციონერებზე განაწილებული მოგება დივიდენდების სახით) და ისეთ ტრანზაქციებზე, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების არაპირდაპირ განაწილებად (სარგებელი, საჩუქრები, გადახდები, ზოგიერთი ოპერაცია დაკავშირებულ მხარეებთან, ხარჯები, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას და სხვა).

კორპორატიული მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიშობა მოგების დივიდენდების სახით განაწილებისას, ხარჯად აღიარდება დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად დივიდენდების ფაქტობრივი გადახდის თარიღისა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი საერთაშორისო კომპანიებისთვის საშუაევით მიდგომას აწესებს მოგების გადასახადის ნაწილში და განმარტავს, რომ მათთვის მოგების დაბეგრის ობიექტი იგივეა, რაც სხვა კომპანიებისთვის, მაგრამ მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ის მაგივრად 5%-ია.

კორპორაციული მოგების დაბეგრის ამჟამინდელი კონცეფციის თანახმად, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და მათ საგადასახადო ბაზებს შორის არ არის დროებითი სხვაობა. აქედან გამომდინარე, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები, როგორც ეს განსაზღვრულია ბასს 12-ში (საშემოსავლო გადასახადები), არ წარმოიქმნება.

3.10 დამატებული ღირებულების გადასახადი

დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის საქონლის ან მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისას. რომელიც უნდა გადაიხადოს არაუგვიანეს ოპერაციის თარიღის მომდევნო თვის თხუთმეტი რიცხვისა. როგორც წესი, ხდება დღს-ჩათვლა ინვოისის მიღებისას. საგადასახადო ორგანოები ნებას რთავენ დღგ-ს ანგარიშსწორება მოახდინონ წმინდა საფუძველზე.

გაყიდვებთან და შესყიდვებთან დაკავშირებული დღგ აღიარებულია და წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა სახით. როდესაც რეზერვი გაკეთდა დებიტორული დავალიანების გაუფასურების თაობაზე, გაუფასურების ზარალი აღიარდება მთლიანი თანხით დღგ-ს ჩათვლით.

3.11 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ოპერაციები კონვერტირდება კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში ამ თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით.

მოგება ან ზარალი ფულადი სახსრებიდან არის სხვაობა პერიოდის დასაწყისში ფუნქციონალურ ვალუტაში ამორტიზებულ ღირებულებას, რომელიც კორექტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით და გადახდებით პერიოდის განმავლობაში და ამორტიზებულ ღირებულებით უცხოურ ვალუტაში კონვერტირებული გაცვლითი კურსით. საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც ფასდება რეალური ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში იმ თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით, როდესაც სამართლიანი ღირებულება დადგინდა. უცხოურ ვალუტაში არსებული არაფულადი

მუხლები, რომლებიც ფასდება ისტორიული ღირებულებებით, კონვერტირდება ოპერაციის თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით. კურსთაშორის სხვაობა, აღიარებულია მოგება-ზარალში.

3.12 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას, მოიცავს:

- (a) ხელფასებს, ანაზღაურებებსა და პრემიებს;
- (b) წლიურ ფასიან შვებულებებსა და ბიულეტენის ანაზღაურებებს;
- (c) სოციალურ შენატანებსა და სხვა სოციალურ გადასახადებს;

თუ დაქირავებულმა პირმა რომელიმე სააღრიცხვო პერიოდში საწარმოს გაუწია მომსახურება, დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული ოდენობა, რომელიც გადასახდელია ამ მომსახურებისთვის, საწარმომ უნდა აღიაროს:

- (a) როგორც ვალდებულება (დარიცხული ხარჯი) ნებისმიერი, უკვე გადახდილი თანხის გამოკლების შემდეგ. თუ უკვე გადახდილი თანხა აღემატება გასამრჯელოს არადისკონტირებულ ღირებულებას, ნამეტი თანხა უნდა აღიარდეს აქტივად (წინასწარ გაწეულ ხარჯად) იმ ოდენობით, რა ოდენობითაც წინასწარ გადახდა უზრუნველყოფს მომავალში გადასახდელების შემცირებას ან ფულადი სახსრების უკან დაბრუნებას.
- (b) როგორც ხარჯი, თუკი მისი ოდენობა არ არის ჩართული აქტივის თვითღირებულებაში.

პრემიები

გადასახდელი პრემიების მოსალოდნელი ხარჯი აღიარდება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ წარსული მოვლენის შედეგად კომპანიას აქვს ზემოაღნიშნული გასამრჯელოების გადახდის მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება. მიმდინარე ვალდებულება აღიარდება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიას არ აქვს სხვა რეალისტური ალტერნატივა გადახდების განხორციელების გარდა.

3.13 შემოსავალი

შემოსავალი აღირიცხება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიან ღირებულებაზე და აისახება მაშინ, როცა მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა შესაძლებელია.

კომპანია ოპერირებს ინფორმაციული ტექნოლოგიების სექტორში და უზრუნველყოფს პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებასა და მასთან დაკავშირებულ სერვისებს ექსკლუზიურად უცხოელ კლიენტებთან, ძირითადად ჯგუფის წევრ კომპანიების კლიენტებთან, რომლებიც განთავსებულნი არიან ევროკავშირისა და აშშ-ში. ყველა სერვისი სრულდება კომპანიის თანამშრომლების მიერ, რომლებიც ფიზიკურად იმყოფებიან საქართველოში.

კომპანია მუშაობს „ხარჯს + ფასნამატი“ (cost-plus) მოდელით, რომლის მიხედვითაც, კომპანიის ცენტრალური ოფისი ანაზღაურებს საქართველოში გაწეულ ხარჯებს დამატებული შეთანხმებული მოგების მარჯით. ყოველთვიურად კომპანია აშვადებს და გზავნის ინვოისს სათავო ოფისში. აღნიშნული ინვოისები წარმოადგენს იმ დროისთვის წინასწარ აღიარებულ შემოსავალს.

ფინანსური წლის ბოლოს, ჯგუფი ახორციელებს საბაზრო ანალიზს გლობალური სატრანსფერო ფასების პოლიტიკის შესაბამისად, რათა დაადგინოს, შესაბამეობა თუ არა წლის განმავლობაში გამოყენებული მარჯები საბაზრო პირობებს. ანალიზის შედეგების შესაბამისად:

- თუ გამოყენებული მარჯა აღემატება საბაზრო დიაპაზონს, ხდება შემოსავლის დაკორექტირება შემცირების მიმართულებით (კრედიტოტით ან შესწორებული ინვოისით);
- თუ გამოყენებული მარჯა დაბალია, ვიდრე მისაღები დიაპაზონი, დამატებით აღიარებული ხდება შემოსავალი, რათა მარჯა მიესადაგოს საბაზრო დიაპაზონს.

საბაზრო ანალიზიდან გამომდინარე კორექტირებები აღიარება ხდება იმ პერიოდში, როცა ისინი ცნობილი ხდება, რაც, როგორც წესი, წლის ბოლოს ხდება. შემოსავალი აღიარებულია დამატებული ღირებულების გადასახდის გარეშე.

4 ძირითადი საშუალებები

ლარი	ოფისის აღჭურვილობა	კომპიუტერები	სულ
თვითღირებულება			
2022 წლის 31 დეკემბერი	140,673	1,462,110	1,602,783
შემოსვლა	4,955	-	4,955
2023 წლის 31 დეკემბერი	145,628	1,462,110	1,607,738
შემოსვლა	1,270	-	1,270
გასვლა	(41,674)	(4,143)	(45,817)
2024 წლის 31 დეკემბერი	105,224	1,457,967	1,563,191
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება			
2022 წლის 31 დეკემბერი	14,663	192,831	207,494
წლის ცვეთა	25,652	263,180	288,832
2023 წლის 31 დეკემბერი	40,315	456,011	496,326
წლის ცვეთა	51,794	502,607	554,401
გასვლიდან ცვეთის ელიმინირება	(27,914)	(1,224)	(29,138)
2024 წლის 31 დეკემბერი	64,195	957,394	1,021,589
საბალანსო ღირებულება			
2023 წლის 31 დეკემბერი	105,313	1,006,099	1,111,412
2024 წლის 31 დეკემბერი	41,029	500,573	541,602

2024 წლის განმავლობაში ცვეთის ხარჯი აისახა თვითღირებულებასა და ადმინისტრაციულ დანახარჯებში შემდეგი პროპორციებით:

ლარი	2024 წელი	2023 წელი
გაწეული სერვისის თვითღირებულება	498,961	259,949
ადმინისტრაციული დანახარჯები	55,440	28,883
	554,401	288,832

5 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	5,413,035	4,203,876
	5,413,035	4,203,876
არაფინანსური აქტივები		
წინასწარ გადახდილი გადასახადები	4,229	27,688
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,417,264	4,231,564

ყველა სავაჭრო მოთხოვნა არის მოკლევადიანი და საშუალოდ გადახდები ხორციელდება ინვოისის მიღებიდან 15-დან 30 დღემდე. სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება.

სავაჭრო დავალიანების წმინდა საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მისი რეალური ღირებულებისგან. კომპანიის მიერ ჩატარებული ანალიზის საფუძველზე, სავაჭრო და სხვა დებიტორებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის ნოლის ტოლი როგორც 2024 წლის 31 დეკემბრის, ასევე 2023 წლის 31 დეკემბრისთვის.

დებიტორული დავალიანების ჩაშლა უცხოურ ვალუტების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 13 (ა)- ში.

6 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	1,679,169	2,069,523
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	107,876	105,787
ვალდებულებები სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ	78,079	100,710
ვალდებულებები საპენსიო ფონდის მიმართ	21,524	22,738
	<u>1,886,648</u>	<u>2,298,758</u>

კომპანიას აქვს ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკა, რათა უზრუნველყოს ყველა გადასახდელის გადახდა საკრედიტო ვადებში. ჩვეულებრივ, კომპანია ფარავს ვალდებულებებს ინვოისის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში. სავაჭრო გადასახდელებზე პროცენტი არ ირიცხება.

სავაჭრო ვალდებულებების ჩაშლა უცხოური ვალუტების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 13 (ა)- ში.

7 გაწეული მომსახურების თვითღირებულება

ლარი	2024 წელი	2023 წელი
თანამშრომელთა ხელფასები	19,982,775	24,968,685
ცვეთა და ამორტიზაცია	498,961	259,949
საოპერაციო იჯარის ხარჯი	182,490	271,812
საპენსიო ფონდის ხარჯები	115,732	136,209
ლიცენზიების ხარჯები	29,348	93,278
კომუნიკაციის ხარჯები	47,242	56,869
კომუნალური დანახარჯები	42,768	59,111
კომპიუტერების ხარჯები	5,251	1,525
სხვა ხარჯები	32,841	19,034
	<u>20,937,408</u>	<u>25,866,472</u>

8 სხვა ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	2024 წელი	2023 წელი
საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურებები	77,343	40,189
სხვა თანამშრომელთა ბენეფიტები	29,198	-
საიჯარო ხარჯები	22,936	23,358
საოფისე ხარჯები	19,309	11,487
საბანკო ხარჯები	12,006	19,473
სხვა სერვისების ხარჯი	9,459	13,368
დაზღვევის ხარჯი	9,095	8,602
კომუნალური ხარჯები	8,949	11,014
რეკლამის ხარჯი	6,838	6,549
ტრენინგების ხარჯები	3,253	10,099
საგადასახადო ხარჯები	844	12,006
მიმდინარე შეკეთების ხარჯები	-	31,844
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	21,977	50,815
	<u>221,207</u>	<u>238,804</u>

9 ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან

ლარი

ფინანსური აქტივებიდან

ფინანსური ვალდებულებებიდან

2024 წელი	2023 წელი
(108,320)	222,158
5,755	(25,952)
(102,565)	196,206

10 მოგების გადასახადი

პერიოდის საგადასახადო ხარჯი დაკავშირებულია ოპერაციის დროს დაბეგრულ არაგამოქვითვად ხარჯებთან. ეფექტური გადასახადის განაკვეთის შეჯერება არ არის წარმოდგენილი, რადგან დივიდენდები არ არის გამოცხადებული 2024 წლის 31 დეკემბერს და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის.

11 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

შეფასებები და გამოთვლები მუდმივად ფასდება და ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც გონივრული იქნება მოცემულ ვითარებაში.

11.1 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და გამოთქვამს ვარაუდებს მომავალთან დაკავშირებით. მიღებული სააღრიცხვო შეფასებები შეიძლება განსხვავდებოდეს შესაბამისი ფაქტობრივი შედეგებისგან. შეფასებები და დაშვებები, რომლებსაც აქვთ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების არსებითი კორექტირების მნიშვნელოვანი რისკი მომდევნო ფინანსურ წელს, განხილულია ქვემოთ.

ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადები

ხელმძღვანელობამ პერიოდულად გადახედავს ხოლმე კომპანიის ძირითადი საშუალებების დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადებს და თუ საჭიროა, ცვლის მათ. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავებული აღმოჩნდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ინფორმაცია შესაძლოა არსებითად შეიცვალდეს იყოს. თუმცა, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მათი შეფასებები არსებითად სწორია და აქტივები იმ ვადით იქნება გამოყენებული, როგორც დაგეგმულია.

სატრანსფერო ფასები

საქართველოს სატრანსფერო ფასების რეგულაციები ზოგად შესაბამისობაშია OECD-ის ტრანსფერული ფასების სახელმძღვანელოებთან. კანონმდებლობა უფლებას აძლევს საგადასახადო ორგანოებს, დააკორექტირონ კონტროლირებადი გარიგებების (მაგალითად, დაკავშირებულ პირებს შორის) ფასები იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ შეესაბამება საბაზრო პირობების პრინციპს. მსგავსი კორექტირებები შესაძლოა გამოიწვიოს დამატებითი საგადასახადო ვალდებულებები.

2023 და 2024 ფინანსური წლების განმავლობაში, კომპანიამ განახორციელა ჯგუფში ტრანზაქციები სათაო ოფისთან „ხარჯს + ფასნამატი“ (cost-plus) ტრანსფერული ფასების მოდელით. ამ მოდელის ფარგლებში, კომპანიამ სათაო ოფისს გაუწია პროფესიული (IT) სერვისები, სადაც კომპანიის ადამიანური რესურსები სრულად იყო მიმართული უცხოელ კლიენტებზე ორიენტირებულ პროექტებზე.

წლის ბოლოს, სათაო ოფისმა ჯგუფის დონეზე საბაზრო კვლევა განახორციელა (benchmarking study), რათა დადგინებულიყო, შეესაბამებოდა თუ არა კომპანიის გამოყენებული მარჟა OECD-ის სახელმძღვანელოს მიხედვით განსაზღვრულ საბაზრო დიაპაზონს.

საბაზრო პირობების პრინციპის დაცვის შესაფასებლად, სათაო ოფისის მენეჯმენტმა მოამზადა ტრანსფერული ფასების დოკუმენტაცია OECD-ის სახელმძღვანელოს შესაბამისად. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანიის ფასების განსაზღვრის პოლიტიკა და გამოყენებული მარჟა შეესაბამება საბაზრო პრინციპს და რომ შესაბამისი შიდა პროცესები უზრუნველყოფს შესაბამისობას რეგულაციებთან.

თუმცა, საგადასახადო ორგანოების მიერ ტრანსფერული ფასების წესების ინტერპრეტაცია შესაძლოა განსხვავდებოდეს კომპანიის მიდგომისგან. ასეთ შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოების მიერ განხორციელებულმა კორექტირებებმა შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

11.2 ძირითადი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით

საწარმოს ფუნქციონირებადობის დაშვება

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, მენეჯმენტი აფასებს კომპანიის შესაძლებლობას განაგრძოს საქმიანობა მომავალში და იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის უწყვეტ საფუძველს, თუ მენეჯმენტი არ აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას ან ოპერაციების შეწყვეტას, ან არ აქვს ამის გარდა სხვა ალტერნატივა.

ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი, არ არსებობს მნიშვნელოვანი გაურკვევლობა ამ კუთხით და, შესაბამისად, ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

12 ფინანსური ინსტრუმენტები

12.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის დეტალები და განხორციელების მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და საფუძველი, რომლის მიხედვითაც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება, ფინანსური აქტივის და ვალდებულების კლასების შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 3.6-ში.

12.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში:

ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,413,035	4,203,876
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	8,807	21,093
	<u>5,421,842</u>	<u>4,224,969</u>
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,787,045	2,175,310
	<u>1,787,045</u>	<u>2,175,310</u>

13 ფინანსური რისკის მართვა

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვადასხვა რისკებს ექვემდებარება. ძირითადი რისკების ტიპებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური რისკები, რომლებიც კომპანიასთან არის დაკავშირებული აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური რისკის ფაქტორები

ა) საბაზრო რისკი

კომპანიას აქვს საბაზრო რისკი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად და ძირითადად მისი რისკები დაკავშირებულია სავალუტო რისკთან, რომელიც გამომდინარეობს მისი საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანია ახორციელებს გარკვეულ ოპერაციებს უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე, წარმოიქმნება გაცვლითი კურსის რყევების ზემოქმედება. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც კომპანიას ექვემდებარება სავალუტო რისკის ქვეშ, წარმოდგენილია ქვემოთ. ნაჩვენებია თანხები არის ის თანხები, რომლებიც ეცნობა ძირითად ხელმძღვანელობას, თარგმნილია ქართულ ლარში საბოლოო კურსით:

2024 წლის 31 დეკემბერი

აშშ დოლარი

ფინანსური აქტივები

ლარი

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ფული ხელზე და საბანკო ანგარიშზე

5,413,034

4,767

5,417,802

ფინანსური ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

107,876

107,876

წმინდა პოზიცია

5,309,926

2023 წლის 31 დეკემბერი

აშშ დოლარი

ფინანსური აქტივები

ლარი

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ფული ხელზე და საბანკო ანგარიშზე

2,317,152

7,808

2,324,960

ფინანსური ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

87,942

87,942

წმინდა პოზიცია

2,237,018

შემდეგი ცხრილი დეტალურად აღწერს კომპანიის სენსიტიურობას ქართული ლარის 15%-იანი (2023: 15%) ზრდისა და კლების მიმართ აშშ დოლართან მიმართებაში. 15% (2023: 15%) წარმოადგენს მენეჯმენტის შეფასებას უცხოური ვალუტის კურსის შესაძლო ცვლილების შესახებ. სენსიტიურობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ფულად ერთულებებს და ასწორებს მათ თარგმნას პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტის კურსის 15% (2023: 15%) ცვლილებისთვის.

ქართული ლარი აშშ დოლართან მიმართებაში 15%-ით (2023: 15%) რომ გამყარებულიყო, ამას შემდეგი გავლენა ექნება:

ლარი

აშშ დოლარის გავლენა

2024

2023

ზარალი

(796,489)

(335,553)

უცხოური ვალუტის კურსების ზემოქმედება წლის განმავლობაში იცვლება საზღვარგარეთ ტრანზაქციების მოცულობის მიხედვით. მიუხედავად ამისა, ზემოთ მოყვანილი ანალიზი მიჩნეულია კომპანიის სავალუტო რისკის ზემოქმედების წარმომადგენლად.

b) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი გულისხმობს რისკს, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს თავის სახელმძღვანელო ვალდებულებებს, რაც გამოიწვევს კომპანიის ფინანსურ ზარალს. კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს ფინანსური აქტივებიდან, მათ შორის ფულადი სახსრებისა და ბანკების ნაშთებიდან, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებებიდან.

საკრედიტო რისკი ბანკებში ნაღდი ფულის ნაშთებთან მიმართებაში იმართება საბანკო დეპოზიტების დივერსიფიკაციის გზით და მხოლოდ მსხვილ რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში.

კომპანიის ბიზნეს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მომსახურებას უწევს მხოლოდ დედა კომპანიას და შესაბამისად დებიტორული დავალიანებაც მხოლოდ დედა კომპანიასთან წარმოექმნება. აღნიშნულის

გათვალისწინებით მენეჯმენტი მიიჩნევს რომ საკრედიტო ზარალთან დაკავშირებული რისკი არ არსებობს ან არ იქნება არსებითი. შესაბამისად კომპანია არ ქმნის ამოუღებელი დეიტორული დავალიანების რეზერვს.

c) ლიკვიდურობის რისკი

კომპანიას არ გააჩნია საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ვალდებულებები და მისი ყველა ფინანსური ვალდებულება არის მოკლევადიანი. კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო ვალდებულება. ანგარიშის გამოცემის თარიღისთვის კომპანიის ფულადი სახსრები და სავაჭრო მოთხოვნები მნიშვნელოვნად აღემატება მიმდინარე ფულადი სახსრების გადინების მოთხოვნებს, ამიტომ კომპანიას ლიკვიდურობის ძლიერი მაჩვენებელი აქვს

14 კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია მართავს თავის კაპიტალს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მას შეეძლოს, გააგრძელოს საქმიანობა და უზრუნველყოს ადეკვატური ანაზღაურება დაინტერესებული მხარეებისთვის.

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება მხოლოდ დაგროვილი მოგება/ზარალისგან.

15 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებში შედიან მისი მფლობელები, უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობა და სხვები, როგორც აღწერილია ქვემოთ.

15.1 მაკონტროლებელი ურთიერთობები

შპს Exadel Georgia-ს 100% ეკუთვნის Exadel Inc.-ს, C1896753 /აშშ/, 02/03/1995. უფრო დეტალურად იხილეთ შენიშვნა 1.

15.2 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

საანგარიშო წლის განმავლობაში კომპანიას ჰქონდა შემდეგი ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან და ანგარიშგების თარიღისთვის ჰქონდა შემდეგი დაუფარავი ნაშთები.

ლარი ოპერაციები	2024 წელი	2023 წელი
მშობელი კომპანია		
შემოსავალი	25,103,079	30,248,325
ხელმძღვანელობა		
ხელფასები და ბონუსები	73,588	82,392
ლარი ნაშთები	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მშობელი კომპანია		
სავაჭრო მოთხოვნები	5,413,034	4,203,876

16 შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების თარიღის შემდგომ არ ყოფილა რაიმე მოვლენა ან ახალი გარემოება, რომელიც მოითხოვდა რაიმე სახის კორექტირებას წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მოხსენებულ მაჩვენებლებში ან რაიმე სახით ამ მოვლენების თუ ფაქტების დამატებით გამჟღავნებას.

შპს „ექსადელ საქართველო“
მმართველობითი ანგარიში
2024 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

1. მოკლე მიმოხილვა.....	2
2. კომპანიის დამფუძნებლები და მმართველი პირები.....	2
3. საკუთარი აქციები (საწესდებო კაპიტალი)	2
4. განვითარების გეგმა და სამომავლო პერსპექტივები	3
5. წარმოებული კვლევები და მისი განვითარება	4
6. რისკების მიმოხილვა	4
7. ფინანსური მაჩვენებლები	5

1. მოკლე მიმოხილვა

ექსადელ საქართველო („კომპანია“) ორგანიზებულია და ოპერირებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დაარსდა 2021 წელს. კომპანიის ერთპიროვნული დამფუძნებელია ექსადელ საქართველოს 100%-იან წილს ფლობს Exadel Inc. C1896753 /აშშ/, 02/03/1995 რომლის ძირითადი საქმიანობაცაა პროგრამული უზრუნველყოფის დამუშავება.

კომპანიის სამმართველო გადაწყვეტილებები ძირითადად მიიღება სათაო ოფისში, ამერიკაში. თუმცა, გარკვეულ გადაწყვეტილებებზე უფლებამოსილებები დელეგირებულია კომპანიის დირექტორზე.

2024 წელს კომპანიაში საშუალოდ დასაქმებული იყო 165 ადამიანი. ადმინისტრაცია მოიცავს 35 თანამშრომელს.

2. კომპანიის დამფუძნებლები და მმართველი პირები

ექსადელ საქართველოს 100%-იან წილს ფლობს Exadel Inc. C1896753 /აშშ/, 02/03/1995.

Exadel Inc.-ის მფლობელობის სტრუქტურა შემდეგია:

- Exadel, Inc.-ის (და შვილობილი კომპანიების) აქციების 100% ფლობს JupiterEx Intermediate Holding, LLC (აშშ; ერთეულის ნომერი დელავერის შტატში არის 5097385. კომპანიის ძირითადი მისამართია 1340 Treat Blvd., Suite 375, Walnut Creek, CA 945997).
- JupiterEx Intermediate Holding, LLC-ის საწევრო წილის 100% ეკუთვნის JupiterEx Holding, LLC (შეერთებული შტატები; ერთეულის ნომერი დელავერის შტატში არის 5097341. კომპანიის ძირითადი მისამართია 1340 Treat Blvd., Suite 375, Walnut Creek, CA 94597).
- JupiterEx Holding, LLC-ის წევრობის წილის 100% ეკუთვნის JupiterEx Ultimate Holding, L.P. (აშშ; ერთეულის ნომერი დელავერის შტატში არის 5097335; ძირითადი მისამართია 5200 Town Centre Circle, 4th Fl., Boca. , FL 33486).
- შპს JupiterEx Ultimate Holding-ის 100%-იანი წილის მფლობელია Sun Capital Partners VII, LP (კაიმანის კუნძულები; სუბიექტის ნომერი კაიმანის კუნძულებზე არის 96681; ძირითადი მისამართია PO Box 309, Ugland House, Grand Cayman, KY1-1104, კაიმანის კუნძულები, რეგისტრირებული 2018 წლის 5 ივნისს) და Exadel, Inc.-ის ისტორიული მფლობელები. Exadel, Inc.-ის ინდივიდუალური ისტორიული მფლობელები ფლობენ JupiterEx Ultimate Holding, LLC-ის დაახლოებით 30%-ს, Sun Capital-ის მფლობელობაშია დარჩენილი წილები. შესაბამისად, არცერთ ინდივიდს არ აქვს უმრავლესობის ინტერესი Exadel, Inc ან შვილობილი კომპანიების მიმართ.

ბოლო ორი წლის განმავლობაში კომპანიის სადამფუძნებლო სტრუქტურა არ შეცვლილა.

3. საკუთარი აქციები (საწესდებო კაპიტალი)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალი შედგება მხოლოდ გაუნაწილებელი მოგების მუხლისგან რომელიც შეადგენს 4,081,025 ლარის აკუმულირებულ მოგებას. 2024 წლის განმავლობაში და არც საანგარიშგებო წლის დასრულების თარიღიდან ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე არ მომხდარა დივიდენდების გაცემა და ასევე, ადგილი არ ჰქონია რაიმე ცვლილებას კომპანიის კაპიტალის სტრუქტურაში.

4. განვითარების გეგმა და სამომავლო პერსპექტივები

კორპორაციის განვითარების სტრატეგია, ფინანსური პოლიტიკა, მარკეტინგი, მომხმარებელთან ურთიერთობა, ახალი მიმართულებებისა და რეალიზაციის ბაზრების მოძიება, ურთიერთობები ამ სექტორში მომუშავე სუბიექტებთან იგეგმება სათაო ოფისში - Exadel Inc. (დედა კომპანია) და ერთი ყველა შვილობილი კომპანიისთვის (17) მათ შორის „ექსადელ საქართველო“. აღნიშნული გეგმები ხორციელდება ადგილობრივი კანონმდებლობისა და პირობების გათვალისწინებით.

გეგმით არ განიხილება საქართველოში საქმიანობის შემცირება და საქართველოს ბაზრიდან გასვლა.

კომპანიის ოფიციალური ვებგვერდი: <https://exadel.com/>

ფეისბუქი: Exdael Georgia

კომპანიის საქმიანობა სრულად შესაბამისობაშია არამარტო შრომითი კოდექსით დადგენილი წესებთან, არამედ ქვეყანაში მოქმედ სხვა რეგულაციასთან.

ბიზნეს გარემო

ცვლილებები პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოში და სამართლებრივი, საგადასახადო და საკანონმდებლო სისტემების განვითარება საქართველოში უწყვეტ ხასიათს ატარებს. ამ ცვლილებებზე დიდწილად არის დამოკიდებული საქართველოს ეკონომიკის სტაბილურობა და განვითარება. მთავრობამ მიიღო განახლებული ვალდებულება კარგი მმართველობის მხრივ, მათ შორის ანტიკორუფციული ძალისხმევა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება.

ექსადელ საქართველო დაარსდა 2021 წლის მარტში. კომპანიამ ფაქტობრივად დაიწყო ოპერირება 2021 წლის სექტემბერში, ამიტომ 2021 წლის შემოსავალი მოიცავს მხოლოდ 4 თვეს. 2022 წელს დასაქმებულთა რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა ბელორუსიდან მრავალი თანამშრომლის გადმოსვლის გამო. სამუშაო რესურსების გაზრდის გამო გაიზარდა პროექტების მოცულობაც, რამაც გამოიწვია შემოსავლების ზრდა 2023 წელს. 2024 წლის განმავლობაში გადმოსული თანამშრომლების უკან დაბრუნების გამო შემცირდა თანამშრომელთა რაოდენობა და 2024 წლის ბოლოს დასტაბილურდა. მენეჯმენტი თვლის, რომ კომპანიის შემოსავალი სტაბილური იქნება 2025 წელს და არ არის მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ცვლილებები ზრდის კუთხით. 2025 წლის მეორე კვარტალში ახალი პროექტების დამატება იგეგმება, ამიტომ იმავე კვარტალში სამუშაო პროცესი გააქტიურდება და დასაქმებულთა რაოდენობის გაზრდა იგეგმება.

ამ მოვლენებმა შესაძლოა შემდგომი მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს კომპანიის მომავალ ოპერაციებზე და ფინანსურ სტაბილურობაზე, რომლის სრული შედეგების პროგნოზირება ამჟამად რთულია. მომავალი ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება და მისი გავლენა კომპანიის ოპერაციებზე შეიძლება განსხვავდებოდეს მენეჯმენტის ამჟამინდელი მოლოდინებისგან.

კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მისი ამჟამინდელი ლიკვიდურობა საკმარისია მდგრადი ფუნქციონირებისთვის. კომპანია რეგულარულად აკონტროლებს მის ლიკვიდურობას და საჭიროების შემთხვევაში აპირებს გამოიყენოს შესაბამისი ლიკვიდურობის გასაუმჯობესებელი ინსტრუმენტები.

5. წარმოებული კვლევები და მისი განვითარება

ბოლო ორი წელია კომპანიაში არ ჩატარებულა კვლევები და არც იგეგმება უახლოესი პერიოდის განმავლობაში.

6. რისკების მიმოხილვა

კომპანია ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს, რომლის ძირითადი სახეებია: უცხოური ვალუტის რისკი, საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი.

ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური რისკები, რომლებსაც კომპანია ექვემდებარება, აღწერილია ქვემოთ

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანია ახორციელებს გარკვეულ ოპერაციებს უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე, წარმოიქმნება გაცვლითი კურსის რყევების გამოწვევები.

კომპანიის ადგილობრივი ოპერაციების უმეტესობა ქართულ ლარში ხორციელდება. ვალუტის გაცვლითი კურსის რისკს ექვემდებარება გამომუშავებული შემოსავლებიდან მიღებული თანხები. ძირითადი და ერთადერთი მომსახურება რომელიც ხორციელდება მშობელ კომპანიასთან ერთიერთობით, შემოსავლებს აგენერირებს აშშ დოლარში.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ზარალის რისკს, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის მომხმარებელი ან კონტრაქტორი ვერ შეასრულებს მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს. კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს ფინანსური აქტივებიდან გამომდინარე, მათ შორის ბანკში განთავსებული და სავაჭრო მოთხოვნებში არსებული ფულისა და ფულის ეკვივალენტებიდან გამომდინარე.

საკრედიტო რისკი იმართება ინდივიდუალურად, კომპანიის საკრედიტო რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების მიხედვით. ბანკებში არსებული ფულადი ნაშთების და დეპოზიტებთან მიმართებაში არსებული საკრედიტო რისკი იმართება საბანკო დეპოზიტების ფლობის გზით და მხოლოდ ძირითადი რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებთან.

კომპანია არ ფლობს რაიმე სახის გარანტიას სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, კომპანიას არ აქვს სხვა ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული უზრუნველყოფა.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. კომპანიის პოლიტიკას წარმოადგენს ლიკვიდურობის გონივრული მართვის პოლიტიკის ჩამოყალიბება საკმარისი ფულადი სახსრებისა და საბანკო ნაშთების, ასევე მაღალლიკვიდური აქტივების შენარჩუნებით, რათა განხორციელდეს ყველა საოპერაციო და მომსახურებასთან დაკავშირებული გადასახადების დროული დაფარვა ვადის დადგომისას.

ლიკვიდურობის რისკის შეფასებისა და მართვისას, განსაკუთრებით მისი ფულადი რესურსებისა და სავაჭრო დებიტორული დავალიანებების ლიკვიდურობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფინანსური აქტივებიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს. კომპანიის ფულადი რესურსები და სავაჭრო მოთხოვნები მნიშვნელოვნად აღემატება მიმდინარე ფულადი ნაკადების გადინების მოთხოვნებს.

კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია მართავს თავის კაპიტალს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მას შეეძლოს, გააგრძელოს საქმიანობა და უზრუნველყოს ადეკვატური ანაზღაურება დაინტერესებული მხარეებისთვის.

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება დაგროვილი მოგება/ზარალისგან.

მენეჯმენტი აფასებს კომპანიის კაპიტალის მოთხოვნებს, რათა შეინარჩუნოს ეფექტური დაფინანსების სტრუქტურა და თავიდან აიცილოს ზედმეტი ბერკეტები. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ცვლის მას ეკონომიკური პირობებისა და ძირითადი აქტივების რისკის მახასიათებლების ფონზე.

7. ფინანსური მაჩვენებლები

2024 წელს შემოსავლები წინა წელთან შედარებით შემცირდა, შემცირებამ 17% შეადგინა, რაც გამოწვეული იყო 2024 წლის განმავლობაში ბელორუსიის ოფისიდან გადმოსული თანამშრომლების საქართველოს ოფისიდან ექსადელის სხვა ოფისებში გადანაწილებით, შემცირდა საერთო მოგების მარჟაც, ეს მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 4%-ით შემცირდა. მიუხედავად საოპერაციო ხარჯების ზრდისა კომპანიამ მაინც მოახერხა საანგარიშგებო პერიოდის მოგებით დასრულება.

2024 წლის განმავლობაში კომპანიას ბიუჯეტში გადახდილი აქვს 1,163,221 ლარი.

კომპანია მაქსიმალურად იცავს ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობას, მათ შორის შრომის კანონმდებლობას. დაცულია დასაქმებულთა უფლებები და მათ შეუძლიათ ისარგებლონ ყველა იმ შეღავათით და სარგებლით, რაც კანონმდებლობით ან/და კომპანიის შიდა პოლიტიკით არის დადგენილი. მათი შრომითი ხელშეკრულებები სრულად შესაბამისობაშია დასაქმებულის უფლებებთან. დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის სამართლებრივი დავა არ ყოფილა.

გენერალური მენეჯერი

ზურაბ ავალიშვილი

